„ცოდვა“ თავად ეშლისაც საკმაოდ გააჩნია ცხოვრებაში; აბა, სხვა რა უნდა უწოდო იმ ფაქტს, როცა 1992 წელს მან „სიმწრით მოპოვებული“ სტუდენტობა მიატოვა კენტუკის უნივერსიტეტში და ჰოლივუდში გაიქცა. ან რა გააჩერებდა იმ მიყრუებულ სასწავლებელში ასეთ ლამაზმანს, რომელიც კინომექაში უმალ შენიშნეს და პატარ-პატარა როლებიც შესთავაზეს ტელესერიალებში. ხასიათის სიმტკიცე ზედმეტი ბარგი არ არის მსახიობისთვის, მაგრამ მთავარი მაინც გარეგნობაა და პროდიუსერებსაც ბევრი ძებნა არ დასჭირვებიათ, როცა მერილინ მონროს შესახებ იღებდნენ ფილმს და ნორმა ჯინ ბეიკერის (მონროს ყმაწვილქალობის გვარ-სახელია ეს) როლზე უმალ დაამტკიცეს ანგელოზისთვალებიანი ეშლი ჯადი, რომელიც ფილმის მსვლელობისას აჩრდილივით დასდევს სახელოვან მერილინს (მირა სორვინოს) და ყველანაირად ცდილობს იმ მანკიერებებს განარიდოს, რამაც საბოლოოდ დაღუპა XX საუკუნის ულამაზესი ქალი.

„არის ფილმები, რომელში მონაწილეობაზედაც მე უარს ვამბობ, თუმცა-კი ვიცი, რომ ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ ამ ფილმს ტონობით ფული დაუგროვდება - ამბობს ეშლი თავის საკარიერო „მანევრების“ შესახებ - როლის არჩევისას პირველ რიგში ვხელმძღვანელობ იმით, რომ რამოდენიმე თვე მხიარულებაში გავატარო გადასაღებ მოედანზე და არ ვფიქრობ იმაზე, თუ რამდენს გადამიხდიან. მე ისედაც კმაყოფილი ვარ ჩემი ცხოვრებით, ასე რომ კინოში მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის ვთამაშობ“.

1993 წელს ეშლი ჯადს სახლი დაეწვა მალიბუში და იგი ნეშვილში, დედასთან და დასთან გადაბარგდა. „მე ვიცი, თუ როგორ შეუძლია გაუფუჭონ ადამიანს ცხოვრება პოპულარობამ და თაყვანისმცემლებმა - ამბობს ჯადი, რომელმაც ერთხელ დიდი შიში იწვნია, როცა მის სახლში ვიღაც ფანატი გადაძვრა - ამიტომაც ლოს-ანჯელესში კი არა, შოუ-ბიზნესისაგან მოშორებით, ნეშვილში ვარჩიე ცხოვრება. ჩვენი სახლი მე დამიცავს საკუთარი პოპულარობისაგან!“

მისი პირადი ცხოვრება კი არასოდეს ყოფილა ჭორების საგანი და ესეც ამ ქალბატონის საოცრად მტკიცე ხასიათითაა განპირობებული. თითოოროლა სატრფიალო ურთიერთობის შემდეგ, მშვენიერმა ეშლიმ თავის არჩევანი 26 წლის ავტომრბოლელ დარიო ფრანკიტიზე შეაჩერა, თუმცა ოჯახის შექმნა მას ჯერ აზრადაც არ მოსდის და ამბობს, რომ მისთხოვდება მხოლოდ იმ კაცს, რომელიც ქორწინებამდე მასთან ე.წ. „წინასაქორწინო გასაუბრებას“ გაივლის და გაუძლებს ამას...

„მე ვერასოდეს ვიცხოვრებ ისეთ ადამიანთან, რომლის ოცნებებიც შესწავლილი არ მაქვს!...“ - განუცხადა ერთხელ ჟურნალისტებს ეშლი ჯადმა, რომელსაც ჩვენ, როგორც მოგახსენეთ, „ავანსად“ მივაკუთვნეთ მსოფლიო კინოს ქალღმერთის ტიტული და დიდი იმედი გვაქვს, რომ იგი ამ წოდებას გაამართლებს!

**ერთ ახალ ფილმში ეშლი ჯადი თამაშბს ქალის როლს, რომელსაც ცილს სწამებენ ქმრის მკვლელობაში. ეშლისათვის ეს არის ახალი მცდელობა იმისა, რომ ე.წ. „მოქმედების ფილმების“ ნამდვილი გმირი გახდეს. რა თქმა უნდა, იგი ჯერ „კაბიანი კლინტ ისტვუდი“ არ გახლავთ, მაგრამ მან თუ კვლავაც განაგრძო ძლიერი ნებისყოფის ქალების როლების თამაში, რომლებიც მარტონი ახერხებენ შურისძიებას, მაშინ ეშლი ჯადი უეჭველად შეავიწროვებს ჰოლივუდის სუპერგმირ-მამაკაცებს.**



ორკორპუსიანი ხომალდი
შეტევის ერთ-ერთი სახეობა
არაფერი ანუ?
ქალაქი მესოპოტამიაში
ლუარსაბი ვერ გახდა
ერთჯერადი სა პარსებბი
მენდელეევის ქიმიური ელემენტების რიგით 64-ე „სუბიექტი“
იანის კოლეგა
სამკურნალო წიგნი
(...) თუმანიანი, სომეხი მწერალი
თავის ტკივილის საწინააღმდეგო წამალი
ტროპიკული ხილი
დედამიწის წარმოსახვითი ხაზი
არ უყვარს პირის ბანაო
ძალლე-ბის შემსწავლელი მეცნიერი
ქიმიური ელემენტი, ლითონი
ხის სახეობა
ზოლას რომანი




საინფორმაციო სააგენტო
კიბე მეტროში
ცუდი კრიტიკოსი
ვაშლის სახეობა
ჩვენი მუსიკალური ჯგუფი
ლუთერანული ეკლესია
იტალიის კურორტი
ყოფილი ტვერი
რომის იმპერატორი
მონოდების შეძახილი
ბერძნული ცეკვა
მეზარბაზნე
უძველესი სახელმწიფო აზიაში
ზღვის სურათი
ბირჟის მუშაკი
დარსაძე
ჩრდილოეთი
ქალბატონი ხაინდრავა
რას შვება, რომ ვერ იპოვონ?
ქვ.კოლუმბიელი ფეხბურთელი
აზრი
ერთ-ერთი განდი
კოშკი მეჩეთის მახლობლად
სამშენებლო მასალა
მგალობელი
ტროას ომის მიზეზი
იმპოტენციის წამალი
მდინარე ნიგერიაში
შესასვლელი
ფულის გაშვება ბრუნვაში
ადამიანს დაესმის კითხვა
იტალიის ფული
ბილწსიტყვაობდა
სახოტბო ლექსი
ბრაზილიელი ფეხბურთელი
ვლადიმერ ულიანოვი
ცეკვა
უმცროსი სამედიცინო მუშაკი
(...) ხოშარაული, „ბახტრიონი“
ქართული გაზეთი
კენგურუს აქვს
(...) ფერარა, იტალიელი ფეხბურთ.
ფრანგი მომღერალი ქალი
ამერიკელი
„მინდორი“ ბერძნულად
გერმანიის მდინარე
ქართული ფილმი
ვორობიანინოვი
ბავშვის საწოლი
ლიანდაგი
სტალონეს მოფერებით ეძახიან
ესპანეთის ტახტის მემკვიდრე
სამა-გიდო თამაში
ქალაქი შოტლანდიაში
„პოლანდიური“ ყვავილი
ტკივილის სიტყვა
დანწნული სათავსი
„კუ და მორიელი“
დედა
იტალ. მსახიობი ფრანკო....
სიმღერის ხმით შესრულება
პუნების ბელადი
მე-10 ვე-დან
„ერთი“ იტალიურად
რუსეთის ავიაკომპანია
მდინარე პოლონეთში
დიდი ზომის ხვლიკი
მამაკაცის არაბული სახელი
....... LA COMEDIA
ლაქა კამეჩის შუბლზე
საბჭოთა მანქანა
პარაზიტი მწერი
უუფლებო ადამიანი
უარყოფ. ნაწილაკი
სამამულოც

## საკროსვორდო ჩემპიონატში ერთკვირიანი შესვენებაა, მის განახლებამდე გთავაზობთ ოთხი ტურის შემდეგ შექმნილ სატურნირო ვითარებას მცირეოდენი კომენტარით

### მეოთხე ტურის შედეგები

**29 ქულა** - მარინე ხაჩირაშვილი, ლიანა კუსრაძე, თინა ფურცელაძე, ელეონორა ფურცელაძე, ზაზა ჩეკურიშვილი.

**28 ქულა** - მაია ყუბანეიშვილი, ალეკო ალიმბარაშვილი, ლილე აქუბარდია. **27 ქულა** - მანანა ბუქღულაშვილი, ლია ლოლომაძე, მაია ედიშერაშვილი, დიანა ვართანიანი, ჯაბუ ბოხაშვილი, იური გაბრიელიძე. **26 ქულა** - ქეთინო ურუშაძე, ნინო მჭედლიძე, დათო გაგნიძე, მუხრან ბიკაშვილი. **25 ქულა** - ზურა სესიტაშვილი. **23 ქულა** - გიორგი ჩხეიძე. **22 ქულა** - ვაჟა პაპუაშვილი, თამუნა შალიკიანი. **21 ქულა** - თამრიკო დამენია, დავით მაისურაძე.

**20 ქულა** - ლელა ბუბაშვილი, ეთერ მიქაძე, გივი გოგოლაშვილი. **18 ქულა** - თიკო გაბუნია, გიორგი გელოვანი. **16 ქულა** - პაატა თალაკვაძე, ცირა პავლიაშვილი. **13 ქულა** - ნუგზარ ბაჩუკაშვილი, ალექსანდრე გიორგაძე. **12 ქულა** - ნატო მაღლაკელიძე. **11 ქულა** - ოთო გიორგაძე. **10 ქულა** - ვახტანგ ნოზაძე, სოსო ნიკოლაიშვილი. **9 ქულა** - თინიკო ციქურიშვილი, ვახტანგ ნანავა, კობა დალაქიშვილი. **8 ქულა** - ირაკლი გიგაური.

### ოთხი ტურის შემდეგ

| | |
|---|---|
| 1. თინა ფურცელაძე | 9 5 |
| 2. ელეონორა ფურცელაძე | 9 3 |
| 3. ლილე აქუბარდია | 9 1 |
| 4. ალეკო ალიმბარაშვილი | 9 1 |
| 5. ზურა სესიტაშვილი | 8 9 |
| 6. ლიანა კუსრაძე | 8 7 |
| 7. მარინე ხაჩირაშვილი | 8 7 |
| 8. იური გაბრიელიძე | 8 7 |
| 9. ზაზა ჩეკურიშვილი | 8 6 |
| 10. ჯაბუ ბოხაშვილი | 8 5 |
| 11. დიანა ვართანიანი | 8 3 |
| 12. მუხრან ბიკაშვილი | 8 2 |
| *13. მაია ედიშერაშვილი* | 7 9 |
| 14. ლიანა ლოლომაძე | 7 6 |
| 15. თამრიკო დამენია | 7 5 |
| 16. ვაჟა პაპუაშვილი | 7 5 |
| 17. გივი გოგოლაშვილი | 7 2 |
| 18. ქეთინო ურუშაძე | 7 1 |
| 19. დავით მაისურაძე | 6 9 |
| 20. თამუნა შალიკიანი | 6 9 |
| 21. თიკო გაბუნია | 6 8 |
| 22. ნინო მჭედლიძე | 6 7 |
| 23. პაატა თალაკვაძე | 6 6 |
| 24. მაია ყუბანეიშვილი | 6 4 |
| 25. გიორგი გელოვანი | 6 2 |
| 26. ეთერ მიქაძე | 6 2 |
| 27. გიორგი ჩხეიძე | 6 2 |
| 28. დავით გაგნიძე | 5 6 |
| 29. მანანა ბუქღულაშვილი | 5 6 |
| 29. ცირა პავლიაშვილი | 5 5 |
| 30 ლელა ბუბაშვილი | 5 3 |
| 31. ალექსანდრე გიორგაძე | 5 1 |
| 32. გიორგი გვასალია | 4 9 |
| 33. ალექსი ჯუგაშვილი | 4 6 |
| 34. ვახტანგ ნანავა | 4 0 |
| 35. თინიკო ციქურიშვილი | 3 7 |
| 36. სოსო ნიკოლაიშვილი | 3 2 |
| 37. ოთო გიორგაძე | 3 2 |
| 38. ირაკლი გიგაური | 2 8 |
| 39. თამარ კაციტაძე | 2 7 |
| 44. ვახტანგ ნოზაძე | 2 7 |
| 41. ნატო მაღლაკელიძე | 2 4 |
| 42. კობა დალაქიშვილი | 2 4 |
| 43. ნუგზარ ბაჩუკაშვილი | 2 1 |
| 44. გოჩა ლობჟანიძე | 1 9 |
| 45. ლევან ივანიშვილი | 1 9 |
| 46. ნინო დეკანოსიძე | 1 7 |
| 47. გიორგი წერეთელი | 1 5 |
| 48. კახაბერ ბიკაშვილი | 1 4 |
| 49. დათო ჭილიტაშვილი | 1 2 |
| 50. მაკა კახნიაური | 1 2 |
| 51. ბესო ქურციკიძე | 1 1 |
| 52. ლია გაბედავა | 1 0 |

### გასული ტურის პასუხები:

**თარაზულად**: 11. საპატრიარქო. 12. მზეთუნახავი. 14. ლაკომბი. 15. მშობლიური. 16. **საიტი**. 19. მაგნარეთი. 20. აჯიკა. 21. პოლიცაი. 24. ალეკო. 25. საბუე. 26. პიროთერაპია. 29. გვერდწითელი. 30. სეგოვია. 34. ფლო. 35. ოზონი. 36. ზანზალაკი. 37. **ფუა**. 41. სამადლობელო. 42. პროვინციული. 44. ჩონთა. 45. **კირენაიკა**. 46. **დაშნა**. 50. ლელვი. 51. **სანანდაჯი**. 52. თართი. 56. დეფროსტაცია. 57. გნოსეოლოგია. 59. ანგლომა. 60. **ძმობა**. 61. ფრანციუმი.

**შვეულად**: 1. მამაძაღლი. 2. **კადოჩნიკოვი**. 3. **გრაბარი**. 4. ძაუ. 5. თქეში. 6. **იზვიცკაია (ფილმი – „ორმოცდამეერთე“)**. 7. ეთერი. 8. სნო. 9. ცხვარიჭამია. 10. ავსტრალია. 13. აბუჯა. 17. **ათვალწუნება**. 18. **კოტენოჩკინი**. 22. ქურთი. 23. ბოლესლავსკი. 27. ქრიზოლითი. 28. ალბათ. 31. ალტაი. 32. აზერბაიჯანი. 33. მუფლონი. 38. **სამოყვარულო**. 39. ალპინარიუმი. 40. ფილანთროპია. 43. ლენდი. 47. **გედეონი**. 48. კაკაო. 49. **კაროჟნა**. 53. უსამი. 54. ისკრა. 55. ფირმა. 58. ნბა.

ცხრა ასოსაგან შესაძლებელი იყო სიტყვა „**ნეშომპალა**-“ს შედგენა

### 12 საპრემიო კითხვა

1. ლუბოვ ორლოვა, ჩარლი ჩაპლინი, გრიგორი ალექსანდროვი. 2. გაიხსნა ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრი. 3. ყავა 4. მღვდლებს (ისინი ლოცვისას ბევრჯერ წარმოთქვამენ სიტყვა „მშვიდობას“) 5. ოგიუსტ როდენის (ქანდაკება „მოაზროვნე“). 6. ეს ქალაქია ვენა (1 103 857). 7. ბედნიერების. 8. წამწამებზე. 9. ვლადიმირ ნაბოკოვი. 10. ეს „პროფესიაა“ მეძავი. 11. მაიკ ტაისონი, მაიკლ ჯორდანი, მიხაელ შუმახერი. 12. იური გაგარინი და გერმანე ტიტოვი.

### მცირე კომენტარი

მე-12 საპრემიო კითხვამ აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა გამოიწვია; საქმე იმაშია, რომ **იური გაგარინის** პირველი კოსმოსური ვოიაჟის შემდეგ 1961 წლის 12 აპრილს, როცა იგი ორბიტაზე გავიდა და 1 საათსა და 48 წუთში 327 კილომეტრ სიმაღლეზე დედამიწას ერთხელ შემოუფრინა, ამერიკელებმა 1961 წლის 5 მაისს გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „მერკური“, რომელსაც მართავდა კოსმონავტი **ალან ბარლეტ შეპარდი**, მაგრამ ეს ხომალდი ორბიტაზე ვერ გავიდა, 15 წუთში მიაღწია 185 კმ სიმაღლეს და დედამიწაზე დაეშვა.

იმავე წლის 21 ივლისს ამერიკელებმა კოსმოსში გაუშვეს **ვირჯილ ივან გრისომი**, რომელმაც 203 კმ სიმაღლეს მიაღწია და ორბიტაზე გაუსვლელად დაეშვა დედამიწაზე.

1961 წლის 6 აგვისტოს **გერმანე ტიტოვმა** 17-ჯერ შემოუფრინა დედამიწას და 25 საათი დაჰყო კოსმოსში.

პირველი ამერიკელი, ვინც ორბიტაზე გავიდა გახლდათ **ჯონ ჰერშელ გლენი**, რომელმაც 1962 წლის 20 თებერვალს აიღო სტარტი და 4 საათისა და 55 წუთის განმავლობაში 3-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. ამიტომაც წერია გლენის შესახებ ყველა ენციკლოპედიაში - **First U.S. astronaut to orbit the earth** (პირველი ამერიკელი ასტრონავტი დედამიწის ორბიტაზე). ასე რომ, იგი რიგით მესამე დედამიწელია, ვინც ორბიტაზე გავიდა; სწორედ ეს იგულისხმებოდა ჩვენს მიერ დასმულ კითხვაში.

## ...რადგან პირველმა ტურნირმა ჩემპიონი ვერ გამოავლინა; გთავაზობთ კროსვორდს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს დავა ზაზა ჩეკურიშვილსა და ზურა სესიტაშვილს შორის...




სხვებსაც შეუძლიათ კროსვორდის კითხვების პასუხები მოგვახსენონ; მათთვის ასეთი **ნახალისებაა** - ვინც 100%-იან შედეგს მიაღწევს, მიიღებს „სამ ოქროს ქულას“, რაც მიმდინარე ტურნირში დაემატება მათს ქულათა მარაგს... მათ შორის სესიტაშვილსაც და ჩეკურიშვილსაც; ამ უკანასკნელთა შორის კვლავ ქულათა თანატოლობის შემთხვევაში, გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც მეორე ტურნირში უფრო მაღალ ადგილს დაიკავებს. დარეკეთ შაბათს, 2 ივნისს 11-დან 13 საათამდე

1. (***პირველი საპრიზო კითხვა***) **ფილმ „მუსიკის ჰანგების“ ფინალური სიმღერის ადრესატი.** 2. რა ჰქვია ლოველასის სატრფოს? 3. იაპონელი ტანმოვარჯიშე მამაკაცი, ოლიმპიური თამაშების ხუთგზის ჩემპიონი. 4. პერსონაჟი, რომლისთვის „ფორსაიტების საგა“ დაიწერა. 5. (***მეორე საპრიზო კითხვა***) **„რუსი მოდის, რუსი მოდისო“ – ათქმევინა მიხეილ ჭიაურელმა გიორგი სააკაძის მებრძოლებს... რა იყო ეს შაჰ-აბასის ლაშქრისათვის?** 6. (***მესამე საპრიზო კითხვა***) **რა ერქვა ჩრდილოური აღორძინების ერთ-ერთ უდიდეს ოსტატს, რომელიც ქალაქ სხერტოგენბოსში დაიბადა.** 7. ჰოლივუდის ერთ-ერთი ვარსკვლავი ქალბატონი. 8. (***მეოთხე საპრიზო კითხვა***) **რა ჰქვია ფან-ფან ტიულპანის სატრფოს?** 9. ასეთი ფილმებიც (...და სპექტაკლებიც) არსებობს. 10. სერიალ „დინასტიის“ პერსონაჟთა მთავარი საცხოვრებელ-სამოღვაწეო ქალაქი. 11. ფრანგი კინორეჟისორი. 12. (***მეხუთე საპრიზო კითხვა***) **ყუფარაძის გამოგზავნილ კაცს ეს ხელსაწყო რომ ჰქონოდა, ბევრად უფრო გაუდავილდებოდა საქმე.** 13. საჟურნალისტო ნებართვა. 14. (***მეექვსე საპრიზო კითხვა***) **ვახტანგოვის თეატრის ცნობილი მსახიობი ქალი.** 15. რუსი კინორეჟისორი. 16. ორგანიზმში რთულ ორგანულ ნივთიერებათა დისიმილაცია. 17. პორტუგალიური ლიტერატურის კლასიკოსის სახელის შემადგენელი ნაწილი. 18. იტალიური კინოს მიმდინარეობა. 19. (***მეშვიდე საპრიზო კითხვა***) **თუ სტენდალის თანამდებობა გახსოვთ ნაპოლეონის არმიაში, იმასაც გაიხსენებთ – რა იყო მის განკარგულებაში.** 20. ზღვის დიდი ფრინველი. 21. ღვინისა და მხიარულების ღმერთ დიონისეს დღესასწაული. 22. ცხვრები ზოგჯერ თუ ასეთები არიან, ზოგჯერ *ისეთები*. გვხვდება... როგორი? 23. სამი იარუსის ნიჩბების მქონე ხომალდი ძველ რომში. 24. პოლიციის მოხელე მეფის რუსეთში. 25. მედიცინის დარგი. 26. რა არის „Golden Lion“? 27. ჰოლივუდის კიდევ ერთი ვარსკვლავი ქალბატონი. 28. „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ - ესე იგი რა პროცესი შესრულდა? 29. ბელორუსიის ტერიტორიაზე არსებული ნაკრძალის სტატუსი. 30. ფაშისტური გერმანიის შორსმოქმედი მართვადი სარაკეტო იარაღი. 31. ჩვენი - მჭედლიშვილი, რუსი - კუზნეცოვი, პოლონელი - კოვალსკი... ინგლისელი - ? 32. (***მერვე საპრიზო კითხვა***) **ძველებური ლიტვური ნყვილთა ცეკვა.**

### საპრემიო კითხვა



**ხომ არავინ გეცნობათ?**

საყოფაცხოვრებო ნივთი

ფანტაზია 2001
18 (220)

ესპანელი ფეხბურთ. / ერთგვარი ხელიკი
საფრანგეთის ქალაქი / მწერლობა
ინდიელთა ტომი / ამერიკ. ფიზიკოსი
ქვეყნის შეიარაღებული ძალები
სახის კუნთების გამოკვეთილი მოძრაობა
ესპანური ქალაქის. და ღვინოც
კაზანოვა, ლოველასი / ძვ.რომაელთა ენა
ქიმიური ელემენტი
იგივე მინანქარი
ნევრის საღებავი / (...) ახმატოვა
სამხედრო კოსტუმი / უდიდესი სტადიონი
(.....)-გრეკო
გერმანული მანქანა / ბოროტი
ქვის მეტეორი / ნახევრად ...ნგი
კორუფციის სახეობა ძვ.ევროპაში
როგორი მანქანაა ზინგერი? / რაზიკაშვილი
მატყუარა / ვულკანი მექსიკაში
შიკოლონეს ფსევდონიმი
გაიძვერა, არამზადა
სმენის ორგანო / ლენონის მეუღლე
აფრიკის სახელმწიფო
ფუძი / იტალიელი მომღერალი
რუსეთის მდინარე / უმაღლესი საზღვაო წოდება
ნორვეგიული ყურე / ფრინველს სწავლობს
ერთგვარი ბოსტნეული
ციხის მოსახლე
ოპტიკური ხელსაწყო / შლიმანის ქალაქი
მღვდლის სამოსი / საიმედოობა
კოლუმბის ხომალდი
აშშ-ს შტატი / ჩვენი ისტ. ძეგლი
ცხვირის ანთება
ჩუკოტკის ქალაქი / გოგებაშვილი
ქალაქი უკრაინაში
მისტერ მარტინი, ჩოგბურთელი
ნესტანის მოახლე / წინასწარი ხელფასი
ანბანში პირველია / მამაკაცის სახელი
მიუნხაუზენი / პრიალა ზედაპირის მქონე
ბაიკალის, ბალხაშის
უუფლებო ადამიანი
ისლამის მიმდინარეობა / მუს.ინსტრუმენტი
მსხვილი გამძლე თოკი
ფილიპ კირკოროვის მეუღლე
მცირე ინსტრუმენტული პიესა
წმინდა ნინოს სამშობლო / (...) ვესაუჩი
ებრაელთა წმინდა წიგნი
ციფრი, რომელიც მაიას ტომსაც კი ჰქონდა
ფერწერული ქმნილება
თბილისის გარეუბანი
NATO-ს ყოფილი ხელმძღვანელი
ზნე
ფანტასტიკური მოვლენა
წინაღობის ერთეული / პირველი ქიმიური იარაღი
ყოფ. საგზაო პოლიცია
ინესა
იტალიის ქალაქი / სტანისლავ ....... ლეცი
უდიდესი პოეტი
გერმანული მანქანა
სამეურნეო მუშაკი
გაურკვეველ ადგილას / გერმან. მწერალი
ფილმ „თეთრი ქარავანის“ პერსონაჟი
პატარა, მცირე ზომის
(......) მატიე
მდინარე ესპანურად
სტერეოს ანტიპოდი
სასტუმროს მუშაკი
ძვ.ეგვიპტელთა უმაღლესი ღვთაება
საფრანგ. პროვინცია / ქალაქი ფინეთში
(...) უილიამსი, ამერიკ. მსახიობი
ღვთიური სითხე / ჩვენი ისტ. მხარე
კვამლის ხვრელი / დოკუმენტი
ბაჯზა
საგანგებო დავალება
(...) ფეროუ, ამერიკ. მსახიობი
ესპანეთშია / ბერძნ. ასო

# იტალიური კროსვორდი

იტალიურ კროსვორდში კითხვების პასუხები მოცემული მიმართულებით უნდა ჩაწეროთ და სიტყვებს შორის არსებული ერთი (ან მეტი) ცარიელი უჯრა თავად უნდა გააფერადოთ. ყოველი კითხვის შემდეგ ფრჩხილებში მითითებულია ამოსაცნობი სიტყვის ასოთა რაოდენობა

**ვერტიკალურად (სვეტების მიხედვით):**

- დაღლის სახეობა (11) / მავნებელი (8)
- (......) კუროსავა (5) / ცხოველის ბეწვი (6)
- საბჭოთა ჯიპი (6) / გადასატანი რადიოსადგური (5)
- გვერდას ძმობილი (3) / საუბრის მელოდია (9) / პოქარსკის კოლეგა (6)
- რუსეთის იმპერატრიცა (3) / პეტროვის ლიტერატურული კოლეგა (4)
- დაბა წიფის გვირაბამდე (6) / რუსი კომენტატორი (7) / თუთიყუშის სახეობა (3)
- ცოცხალ უჯრედში შემავალი ნაწილაკი (8)
- საქართველოს ტელევიზის გადაცემა (6) / ვარაუდის სიტყვა (5)
- სამი - სპარსულად (2) / ფუჭი, უშედეგო (4)
- საფრანგეთის საოკეანო ყურე (6) / დასავლეთის დღე (5) / (......) დასლერი (3)
- ეროსი ანუ? - ბერძნ. მითოლოგიის „ამური" (5)
- ნიკოლოზ მეორის ქალიშვილი (9) / ოფიცრის ჩინი (6) / წვერის სალესავი (3)
- ზევსის ძროხა (2) / ქანთარიამ რომ დაიპყრო (9) / მოწონების შორისდებული (2)
- ძლევენი შეიძლება იყოს (7) / (.......) გეგელია (4) / რუსეთის მდინარე (3)
- გერმანიის ქალაქი (6) / (.....) ამოს კომენსკი (3) / ჩვენი გაზეთი (4)

**ჰორიზონტალურად (სტრიქონების მიხედვით):**

- ჩვენი რეგიონი (8)
- (.........) რივზი (5) / გერმანელი ფილოსოფოსი (8)
- ყველაზე დიდი სიმდიდრის რიცხვი (8)
- წყვილთა შორის პირველი (3) / მუსიკოსთა გაერთიანება (8)
- ...და ვერც (.......) ღვინით სავსე, ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სიღრმეში... (4)
- ცალკეული პირი (8) / ვერდის ოპერა (4)
- „ხორცის შემცვლელი" მცენარე (4)
- წიგნებს სჭირდება (4)
- თხების ჯოგი (4)
- ბილიარდის მაგიდის ატრიბუტი (4)
- მანძილის საზღვაო საზომი, უდრის 1,852 კმ-ს (4)
- ამერიკ. მსახიობი, დრიუ.... (8) / იგივე გოგრა (5)
- დელონის და შნაიდერის ფილმი (4) / ჭაობის მცენარე (4)
- ღამის ფრინველი (2) / ნახატებიანი გამოცანა (6) / (......) იოსელიანი (4)
- საცეკვაო ილეთი (2) / საანეკდოტო ქალი (4) / ელენიო(.....) - მწვრთნელი (5)
- თეთრთმიანი (9) / (.....) საკი - მწვრთნელი (4)
- პეიერდალის ტივი (2) / პორტო-(.....) - ბენინში (4) / ირაკლი - მოკლედ (3)
- ფრანგი ფეხბურთელი (4) / ისლამური სახელმწიფო (7) / (.....)-პაჩინო (2)
- ზარალი, ვნება (5) / არაბული ზღაპრის პერსონაჟი (7)
- კვერცხშია (4) / სასტუმროს ბიჭი (3) / იალქანი (4)
- ტაილანდის ხალხი (3) / მიხეილ მესხის სამოქმედო სივრცე (4)
- საოპერო სიმღერა (4)



ტბა, სადაც ვენეციური მინის მწარმოებლები ჩაასახლეს

წრეებით მონიშნული ასოებისაგან შეადგინეთ 9-ასოიანი სიტყვა. ვინც პირველი შეადგენს ამ სიტყვას და პარასკევს, საღამოს 18 საათამდე პირველი მოგვახსენებს მას, მიიღებს ვიდეოკასეტას (ტელ. 79-53-70)

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |

# ეს უცნაური იტალიელები

*ნაწყვეტები მარტინ სოლის წიგნიდან* - ***The Xenophobe’s Guide to The Italians***

### ჩრდილოეთი და სამხრეთი

იტალიელები ერთმანეთისადმი არსებულ შინაგან წინააღმდეგობას ხშირად ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირებით ამარტივებენ.

ჩრდილოელი სამხრეთელს ხეპრე კაცად თვლის და მას ნახევრად არაბს უწოდებს; სამხრეთელი ჩრდილოელთა გაგებით არის ადამიანი, რომელიც მაფიასთან შეხმატკბილებულად ცხოვრობს და იმ ფულით არსებობს,რასაც ჩრდილოელები მოიპოვებენ.

სამხრეთელი კი ჩრდილოელს ნახევრად ფრანგს და ნახევრად ავსტრიელს უწოდებს, რომელიც ბედის ნებიერობის წყალობით უმდიდრეს ჩრდილოეთში დაიბადა და უაზროდ ფლანგავს იმ ფულს, რაც სამხრეთელებმა მათს (ჩრდილოელთა) ფაბრიკებსა და ქარხნებში დიდი ოფლისღვრით გამოიმუშავეს.

მართალია, ორივე პორტრეტი მცირეოდენ გაზვიადებულია, მაგრამ მაინც გამოხატავს იტალიელთა უმრავლესობის აზრს. ყოველივე ამას ამძაფრებს თუნდაც სხვაობა საკვები პროდუქტებისადმი სიყვარულის, საუკუნეობრივ ჩვევების თუ დიალექტური განსხვავებულობის საკითხში. სამხრეთელთა სამზარეულო ძირითადად მაკარონსა და ზეთისხილზეა დაფუძნებული, ჩრდილოელებისა - სიმინდზე და ცხოველური წარმოშობის ცხიმზე; ენობრივი შეუთანხმებლობანი კი იმდენად დიდია, რომ ფილმი **“L’amore molesto”**



(„დამღლელი სიყვარული, მაგალითად, რომელიც სამხრეთში შეიქმნა, ჩრდილოეთის ბაზრისათვის სპეციალურად იქნა დუბლირებული.

ყველაფერი ცუდი, რაც იტალიასა და იტალიურ ხასიათში შეიმჩნევა, ჩრდილოელების აზრით, სამხრეთელების ბრალია; ვთქვათ, კორუფცია, რაც იტალიის პოლიტიკას და სამთავრობო სტრუქტურებს გამჭოლი ხაზივით გასდევს„ტიპიურ სამხრეთულ სნეულებად“ ითვლება, თუმცაღა ის საგულდაგულოდ იჩქმალება, რომ უკანასკნელი პერიოდის სკანდალი, რაც კორუფციასა და მექრთამეობასთან იყო დაკავშირებული, ჩრდილოიტალიურ ქალაქ მილანში მოხდა.

ასე რომ, ჩრდილოეთის ლიგის ექტრემისტებსაც და კონფედრაციის დროშამომარჯვებულ სამხრეთელებსაც, რომლებიც გამუდმებით ცდილობენ ამ ჩრდილო-სამხრეთული დაპირისპირების გამძაფრებას, უბრალოდ ავიწყდებათ ის საკითხი, რომ, ყველა სამხრეთელი სახლში რომ დაბრუნდეს, სამხრეთ იტალია ჩრდილოელთა ეკონომიური მხარდაჭერის გარეშე დარჩებაა, ხოლო ჩრდილოეთი დაკარგავს ყველა პარიკმახერს...

### უნდა გვახსოვდეს!

იტალია წინააღმდეგობათა ქვეყანაა, ეს არის კათოლიკური ეკლესიისა და მაფიის ქვეყანა. ეს არის ყველაზე „პროევროპული ქვეყანა“ ევროპისა, სადაც საერთო ბაზრის დირექტივები ყველაზე ცუდად სრულდება. იტალიაში ყველაზე მოწინავე ინჟინერია და ყველაზე უვარგისი წყალგაყვანილობაა. ეს არის ზღაპრული სიმდიდრის და უკიდურესი სიღარიბის ქვაყანა...

როგორც შტატებში დაბრუნებულმა ერთმა მორიგმა იტალიის ელჩმა აღნიშნა - „იტალია ძალზედ ღარიბი ქვეყანაა, მაგრამ იქ ძალზედ ბევრი მდიდარი ადამიანი ცხოვრობს“. ამ გამონათქვამს სტატისტიკაც უმაგრებს მხარს: 1992 წელს საერთო ბაზრის სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ევროკავშირში შემავალ ქვეყნებს შორის იტალიის ოლქ ლომბარდიაში კეთილდღეობის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა, თუმცა იტალიელებს მოსწონთ, როცა ყველას მათი სიღარიბე ეჩხირება თვალში და გამუდმებით ამტკიცებენ, რომ ჩრდილოეთის ქვეყნები მათზე ბევრად უფრო მდიდრები არიან, მაგრამ მარჯვედ ახერხებენ ამ სიმდიდრის დამალვას...

### ხასიათი

**ALLEGRIA**

“**Allegria**” - ეს არის საერთო აღტკინება და ცხოვრების სიყვარული, რაც უცხოელისათვის ძნელად გასაგებია. ეს მოვლენა დაკავშირებულია იტალიურ ნატურასთან, რაშიც მზე, გულღიაობა და მხიარულება ერთმანეთშია შერწყმული და, ალბათ, ესაა იმის მიზეზი, რომ ერთად თავშეყრილ იტალიელებს, სიცილის გარდა, აღარაფერი რჩებათ გასაკეთებელი.

“**Allegria**” - გადამდები დაავადებაა და მისგან განდგომა სიბრიყვედ ითვლება. სადმე მთებში სასეირნოდ ასული იტალიური ოჯახი “**Allegria**” - თია შეპყრობილი და ყველა ხარხარებს, როცა ვინმე ბიძიკო მარჩელო ყვება იმ ამბავს, თუ როგორ დააჯდა კაქტუსს ვინმე დეიდა ორნელა, თუმცა ეს სცენა მილიონჯერ აქვთ ნანახი და მოსმენილი...

“**Allegria**” - საც აქვს თავისი საწინააღმდეგო მოვლენა, რაც მელანქოლიის დეპრესიული ფორმებითაა გამოხატული და ხშირად შემოდგომის წვიმიან ამინდებს ემთხვევა, როცა ფასები და გადასახადები სეზონურად იზრდება...

თუმცა მთლიანობაში იტალიელები ცხოვრებას ოპტიმისტურად უყურებან. ამ ოპტიმიზმის საუკეთესო ილუსტრაციაა ასეთი, წმინდაწყლის იტალიურად გულისამაჩუყებელი სადღეგრძელო:

**„დაე, შენი მომავლის ყველაზე მოსაწყენი დღეები შენი წარსულის ყველაზე ბედნიერ დღეებს ჰგავდეს!“**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*




## აბრუცი - ABRUZZI

- ცენტრალური იტალიის ადრიატიკის სანაპიროზე მდებარე მთიანი ოლქი, მდინარეებს - ტრონტოსა და ტრინიოს - შორის.

**ფართობი** - 10 795 კვ.კმ.

**მოსახლეობა** - 1 300 000,

**ადმ. ცენტრი** - ლ’აკუილა (65 000 მცხ.)

- აბრუცის აპენინებში შედის აპენინის ნახ. კუნძლის უმაღლესი მწვერვალი გრან სასო დ’იტალია (კორნო) - 2914 მეტრი.

- აბრუცის ოლქი შედგება 4 პროვინციისაგან, რომელთა სახელები ამ ოლქის უდიდესი ქალაქების სახელებს ემთხვევა: ლ’აკუილა, ჩიეტი, პესკარა და ტერამო.

# დიდი იტალიელები




## პატარა ენციკლოპედია

### თემა - „იტალიელი მხატვრები“

**დომენიკო ვენეციანო** (Domenico Veneziano) (1410-61) - ადრეული აღორძინების ფლორენციული სკოლის წარმომადგენელი.

**დოსი** (Dossi) დოსო (1479-1542) - გვიანდელი აღორძინების ფერარის სკოლის წარმომადგენელი. შექმნილი აქვს ნახატები რელიგიურ და მითოლოგიურ თემატიკაზე.

**დუჩო დი ბოუნინსენია** (Duccio di Buoninsegna) (1255-1319) - ფერწერის სიენური სკოლის ფუძემდებელი. ლირიზმით განმსჭვალული და დახვეწილი რიტმისა და კოლოტირის მქონე მისი ნახატები არ სცილდება შუასაუკუნეობრივ ტრადიციებს.

**ვაზარი** (Vasari) ჯორჯო (1511-74) - ფერმწერი,არქიტექტორი, ხელოვნების ისტორიკოსი. მუშაობდა ფლორენციაში. მანიერიზმის წარმომადგენელი. ავტორი უფიცის არქიტექტურული ანსამბლისა (ამჟამად მუზეუმი).

**ვერონეზე** (Veronese) პაოლო (1528-88) - ვენეციანური სკოლის წარმომადგენელი. მისი საზეიმო, საერო სულისკვეთებით განმსჭვალული ნახატები, პანოები, კედლის მხატვრობები გამოირჩევა არქიტექტურასთან და მთელ კომპოზოციასთან ორგანული შერწყმით.

**ვეროკიო** (Verocchio) ანდრეა დელ (1435-88) - სკულპტორი, მოქანდაკე, იუველირი. ადრეული აღორძინების ფლორენციული სკოლის წარმომადგენელი. ახერხებდა რეალისტური ძიებების და დახვეწილი არისტოკრატიზმის შერწყმას (ქანდაკება „დავითი“, კონდოტიერ კოლეონის ქანდაკება ვენეციაში, „ქრისტეს ნათლობა“ ლეონარდო და ვინჩისთან ერთად).

**კავალინი** (Cavallini)) პიეტრო (1240-1330) - პროტორენესანსის წარმომადგენელი. პირველად განუდგა ბიზანტიურ კანონებს და გამოსახულებას მოცულობითი პლასტიურობა მიანიჭა.

**კანალეტო** (Canaletto)) ჯოვანი ანტონიო (1697-1768) - ავტორი პეიზაჟებისა, პანორამებისა; ძირითადად ვენეციის არქიტექტურული ანსამბლებისა და ძეგლების, ქალაქური სცენების ასახვით კმაყოფილდებოდა.

**კარა** (Carra) კარლო - (1881-1966) ფერმწერი და გრაფიკოსი. ფუტურიზმის ერთ-ერთი დამაარსებელი („ანარქისტ გალის დაკრძალვა“).

**კარავაჯო** (Caravaggio) მიქელანჯელო და (1573-1610) - ევროპულ ფერწერაში რეალისტური მიმდინარეობის დამკანონებელი, შეიტანა მასში დემოკრატიზმი, ემოციური დაძაბულობა. საოცარი რელიგიური დრამატიზმის მქონე კომპოზიციების ავტორი.

**კარპაჩო** (Carpaccio) ვიტორე (1455-1526) - ადრეული აღორძინების ვენეციური სკოლის წარმომადგენელი.

**კასტანიო** (Castagno) ანდრეა დელ (1421-57) - ადრეული აღორძინების ფლორენციული სკოლის წარმომადგენელი. ავტორი სიცოცხლით სავსე, ვაჟკაცური პერსონაჟებით მდიდარი კომპოზიციებისა.

**კასტილონე** (Castillione) ჯოვანი ბენედეტო(1607-65) - გენუელი ფერმწერი და გრაფიკოსი. ძირითადად ბიბლიური სიუჟეტების მქონე ნახატებს ქმნიდა. გამოიგონა მონიტიპიის ტექნიკა.

# 1000 კურიოზი

429. ორი მეგობარი ხვდება ერთმანეთს.
- რატომ ხარ მოწყენილი?
- რატომ და... ეს ინსპექტორები... ვინა ყოფილან, კაცო, ეს ინსპექტორები?!
- მოხდა რამე?
- გუშინ ცოტა დავთვერით, რა... და პატარა გამასხრება მომინდა. ვითომ მანქანა ვარ-მეთქი, ნომერი გავიკეთე, გულზე „ტეხასმოტრის“ ტალონი ჩამოვიკიდე, ერთ ხელში ფანარი დავიჭირე, მეორეში - „აპტეჩკა“, როგორც წესი და რიგია და გაველი გზაზე, მეორე რიგში ჩავდექი და დასაშვები სიჩქარით დავიწყე მოძრაობა....
- მერე? მერე რა მოხდა?
- ასი მეტრიც არ მქონდა გავლილი, რომ ამ ინსპექტორებმა - ვინა ყოფილან, კაცო, ეს ინსპექტორები?! - გამაჩერეს!
- ალბათ, ხულიგნობისთვის... ან სიმთვრალის დაგაჯარიმეს, ხომ?!
- არა, კაცო, კაპიკიც არ გამოურთმევიათ, გამიშვეს და მადლობებიც მიხადეს!
- მაშ, რატომ ხარ მოწყენილი?!
- სანამ გამიშვებდნენ, გამონაბოლქვი გაზები შემიმოწმეს და დი--ი-ი-დხანს, დი--ი-ი-დხანს არეგულირებდნენ!...

430. ჩვენი რჩევა:
სამსახურში წასასვლელად დილით დროზე გაღვიძება გაგიადვილდებათ,თუ მაღვიძარას გვერდით თაგვის ხაფანგს დადებთ.

431. **კაცთა ღაღადი**
- Мадам, возлюбите меня, я - ближний!!!

432. **რჩევა**
Если твой компьютер завис - выдерни шнур, выдави стекло.



## პატარა ენციკლოპედია

### თემა – „ფრანგი მწერლები“

**ნერვალი** (Nerval) ჟერარ დე (1808-55) - დემონსტრაციული ანტიბურჟუაზიულ განწყობებს კრებულში „პატარა ოდები“ ამ მწერლის შემოქმედებაში შეენაცვლა რეალური სამყაროსაგან გაქცევა და ილუზორულ პოეტურ ასოციაციებში შთანთქმა. განსაკუთრებით საყურადღებოა ტრაგიკული ავტობიოგრაფიული ნოველა „ავრელია, ანუ ოცნება და ცხოვრება“, რომელიც ჭეშმარიტად კოსმიურ მასშტაბებს იძენს.

**ნოდიე** (Nodier) შარლ (1780-1844) - მწერალი რომანტიკოსი. რომანში „ჟან სბოგარი“ საზოგადოებას უპირისპირდება „კეთილშობილი ყაჩაღი“.

**პასკალი** (Pascal) ბლეზ (1623-62) - მათემატიკოსი, ფიზიკოსი, რელიგიური ფილოსოფოსი და მწერალი. მის კალამს ეკუთვნის ფრანგული სატირული პროზის შედევრი - „წერილები პროვინციალისადმი“; პასკალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფრანგული კლასიკური პროზის ჩამოყალიბებაში.

**პელეტიე დიუ მანი** (Pelletier du Man) ჟაკ (1517-82) - მწერალი და მეცნიერი-თეორეტიკოსი. ეკუთვნის ტრაქტატი „ფრანგული პოეტური ხელოვნება“.

**პერეკი** (Perec) ჟორჟ (1936-82) - ავტორი მძაფრკრიტიკული მოთხრობისა „ნივთები“, ექსპერიმენტულ-სათამაშო რომანისა „სიცოცხლის მოხმარების ინსტრუქცია“.

**პერო** (Perrault) შარლ (1628-1703) - საქვეყნოდ ცნობილი ზღაპრების - „ჩექმებიანი კატა“, „კონკია“, „ლურჯწვერა“ და სხვათა ავტორი.

**პინო დიუკლო** (Pinot Duclos) შარლ (1704-72) - მწერალი და ისტორიკოსი. რომანიები „გრაფ****-ის აღსარება“, ქალბატონ დე ლიუზის ამბავი“. მორალისტური მსჯელობანი მისი თანამედროვე ეპოქის შესახებ.

**პოზნერი** (Pozner) ვლადიმირ (1905-92) - რუსული წარმოშობის მწერალი; რომანები „დღე-ღამის გლოვა“, „ესპანეთი - პირველი სიყვარული“.

**პოლანი** (Paulhan) ჟან (1884-1968) - ავტორიტეტული ჟურნალის „ნუველ რევიუ ფრანსეზ“-ის მთავარი რედაქტორი. ესეები წიგნი „ტარბას ყვავილები“, „პოეზიის გასაღები“; წერილები მე-20 ს მხატვრების შესახებ.

**პრევო დ·ეკზილი** (Prevost d'Exiles) ანტუან ფრანსუა (1697-1763) - აბატი, რომანში „შევალიე დე გრიეს და მანონ ლესკოს ამბავი“ ასახულია მტრული მორალის გარემოში ძლიერი, თავისუფალი სასიყვარულო გრძნობის არსებობა.

# იაპონური
## სატრანსპორტო წიაღსვლა

30 ხაზი
65 სვეტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | 3 |
| 2 | | | | 3 |
| 3 | | | | 13 |
| 4 | | | | 13 |
| 5 | | | | 14 |
| 6 | | | 1 | 14 |
| 7 | | | 1 | 18 |
| 8 | | | 1 | 24 |
| 9 | | 1 | 2 | 19 |
| 10 | | 1 | 2 | 19 |
| 11 | | 1 | 2 | 20 |
| 12 | | 1 | 2 | 20 |
| 13 | | 1 | 2 | 21 |
| 14 | 1 | 3 | 12 | 7 |
| 15 | 1 | 5 | 12 | 7 |
| 16 | | 1 | 4 | 21 |
| 17 | | | 2 | 25 |
| 18 | | | 3 | 22 |
| 19 | | | 5 | 20 |
| 20 | | | 6 | 18 |
| 21 | | | 5 | 16 |
| 22 | | | 7 | 14 |
| 23 | | | | 18 |
| 24 | | | | 18 |
| 25 | | | | 18 |
| 26 | | | | 18 |
| 27 | | | | 20 |
| 28 | | | | 20 |
| 29 | | | | 20 |
| 30 | | | | 20 |
| 31 | | | | 21 |
| 32 | | | | 21 |
| 33 | | | | 22 |
| 34 | | | | 21 |
| 35 | | | | 19 |
| 36 | | | | 16 |
| 37 | | | 14 | 6 |
| 38 | | | 13 | 10 |
| 39 | | | 12 | 12 |
| 40 | | | 11 | 14 |
| 41 | | | 11 | 14 |
| 42 | | | 10 | 16 |
| 43 | | | 10 | 16 |
| 44 | | 10 | 7 | 7 |
| 45 | | 10 | 7 | 7 |
| 46 | | | 10 | 16 |
| 47 | | | 10 | 16 |
| 48 | | | 11 | 14 |
| 49 | | | 11 | 14 |
| 50 | | | 11 | 12 |
| 51 | | | 11 | 10 |
| 52 | | | 11 | 6 |
| 53 | | | | 10 |
| 54 | | | | 9 |
| 55 | | | | 9 |
| 56 | | | | 8 |
| 57 | | | | 7 |
| 58 | | | | 7 |
| 59 | | | | 6 |
| 60 | | | | 5 |
| 61 | | | | 4 |
| 62 | | | | 4 |
| 63 | | | | 2 |
| 64 | | | | 2 |
| 65 | | | | 1 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 13 | | | | |
| 2 | 4 | | | | |
| 3 | 8 | 3 | | | |
| 4 | 8 | 38 | | | |
| 5 | 1 | 3 | 42 | | |
| 6 | 3 | 3 | 43 | | |
| 7 | 2 | 3 | 43 | | |
| 8 | 2 | 3 | 44 | | |
| 9 | 2 | 2 | 44 | | |
| 10 | 15 | 38 | | | |
| 11 | 18 | 36 | | | |
| 12 | 53 | | | | |
| 13 | 51 | | | | |
| 14 | 39 | 5 | | | |
| 15 | 37 | 6 | | | |
| 16 | 36 | 10 | | | |
| 17 | 35 | 12 | | | |
| 18 | 34 | 14 | | | |
| 19 | 34 | 14 | | | |
| 20 | 33 | 16 | | | |
| 21 | 35 | 16 | | | |
| 22 | 13 | 7 | 9 | 7 | 7 |
| 23 | 13 | 7 | 8 | 7 | 7 |
| 24 | 15 | 4 | 16 | | |
| 25 | 15 | 1 | 16 | | |
| 26 | 14 | 14 | | | |
| 27 | 13 | 14 | | | |
| 28 | 12 | 12 | | | |
| 29 | 9 | 10 | | | |
| 30 | 5 | 6 | | | |

# პიერ ბული

*(გაგრძელება, დასაწყისი „ფანტაზია“ № 11-ში, თარგმნის ალ.ელერდაშვილი)*

*Pierre Boulle* Planete des Singes
*Paris, 1962*

## მეორე ნაწილი

### პირველი თავი

უნდა გამოვტყდე, რომ გალიაში ცხოვრებას ძალზედ მალე და ადვილად მივეჩვიე კიდეც. მატერიალური თვალსაზრისით, კაცმა რომ თქვას, სამდურავი არ მეთქმოდა: დღისით მაიმუნები ჩემს ნებისმიერ კაპრიზს ასრულებდნენ, ღამღამობით კი სარეცელს სამყაროთაშორისი სივრცის ერთ-ერთ ულამაზეს ქმნილებასთან ვინაწილებდი. მე იმდენად შევეგუე ჩემს ყოფას, რომ რომ ამგვარი არსებობის უაზრობასა და დამამცირებლობას ვეღარც კი ვგრძნობდი და თითქმის მთელი თვის განმავლობაში აღარაფერი მიცდია არსებული მდგომარეობის შესაცვლელად. ყველაზე დიდი, რის გაკეთებაც ამ ხნის განმავლობაში მოვახერხე, მაიმუნების ენის რამოდენიმე სხვა სიტყვის შესწავლა იყო. განვლილი დროის განმავლობაში აღარც კი მიცდია ზირასთან კონტაქტის დამყარება და თუ ადრე იგი ჩემში გონიერ არსებას ხედავდა, ახლა, როგორც ჩანს, დაეთანხმა ზაიუსს და ჩემში თავისი პლანეტის




მსგავს ადამინასლა აფიქსირებდა ანუ ისეთ ცხოველს, რომელიც მთლად უგნური არ იყო, მაგრამ ინტელექტის ნაკლებობას მაინც განიცდიდა.

იმ უპირატესობას, რაც მე სხვა ტყვეებთან შედარებით გამაჩნდა, მაინც-ადამაინც არ ვამჟღავნებდი, რათა დარაჯი გორილები არ დამეფრთხო, სამაგიეროდ უკვე გამომჟღავნებული უნარის წყალობით მთელი იმ კვლევითი ინსტიტუტის სიამაყედ და ძალზედ მნიშვნელოვან პერსონად ვიქეცი. ჩემს სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ზემოთქმულის გაცნობიერ-ება ერთგვარად მმატებდა პატივმოყვარეობას და ერთხანს ვამაყობდი კიდეც ჩემს მიმართ გამოვლენილი ზედმეტი მზრუნველობისა გამო. ზორამი და ზანამიც მეგობრულად მეპყრობოდნენ, ისინი ყოველთვის კარგ გუნებაზე დგებოდნენ, როცა გავუღიმებდი, ვხარხარებდი ან მათს ენაზე რომელიმე სიტყვას ვეტყოდი ხოლმე. გასული დროის განმავლობაში ყველა კლასიკური ცდა ჩამიტარეს რა, ახლა სულ ახალ-ახალ და რთულ ექსპერიმენტებს იგონებდნენ და როცა მათს მიერ დასმული ამოცანების გადაწყვეტას იოლად ვახერხებდი, ყველა ერთად ვიცინოდით და გვიხაროდა ეს. მათ არც ტკბილეულის მოტანა ავიწყდებოდათ და მე ამ საშუალებით მაინც ვახერხებდი ჩემი გულისსწორის, ნოვასათვის, საჩუქრის შოვნას და მისი კეთილგანწყობის დამსახურებას. ჩვენ, მე და ნოვა, პრივილეგირებულ წყ-ვილად ვითვლებოდით და ამგვარ ეიფორიაში ისიც კი მეგონა, რომ ნოვა თავისი კარგი მდგომარეობისა და კარგი კვების ამბავს ცხადად იაზრებდა და ყოველივე ამას ჩემს ნიჭიერებას უმადლოდა... ჰოდა, მქონდა კიდეც იმის საფუძველი, რომ სატრფოს წინაშე უკანასკნელი ფანფარონივით გავჯგიმულიყავი.

* * *

მაგრამ გავიდა რამოდენიმე კვირა და უცებ ვიგრძენი, რომ ეს ყველაფერი უკვე გულისრევას იწვევდა ჩემში. შესაძლოა, ამაში ნოვას თვალები იყო დამნაშავე, რომლებიც ერთ დილას განსაკუთრებით უაზროდ მეჩვენა, შესაძლოა, ეს იმ ნაწყალობევი შაქრის ნატეხის გამოც მოხდა, რომელიც ზირამ მომართვა... ის შაქარი უცებ მწარედ მეჩვენა და სირცხვილისაგან სახე ამეწვა იმის გაცნობიერებით, რომ მე ცხოველის ყოფას შევეგუე.

რას იფიქრებს ჩემს შესახებ პროფესორი ანტელი, რომელიც, შესაძლოა, გადარჩა და ერთ მშვენიერ დღეს გალიაში მიხილავს? ამის გაფიქრებაც კი აუტანელი შეიქნა ჩემთვის და იმ დღიდან გადავწყვიტე მოვქცეულიყავი ისე, როგორც ცივილიზერებულ ადამიანს შეეფერებოდა.

ერთხელ, მადლობის ნიშნად ზირას ხელზე ხელს რომ ვუთათუნებდი, ფრთხილად და შეუმჩნევლად მის ბლოკნოტსა და საწერ კალამს დავეუფლე. ზირამ საყვედური გამოთქვა ამის გამო, მაგრამ მე ყურადღება არ მიმიქცევია, თივაზე ჩამოვჯექი და ნოვას ხატვას შევუდექი. ერთდროს ხატვის ნიჭიც მქონდა, გარდა ამისა, ასეთ მოდელს ნებისმიერი უნიჭო მხატვრის შთაგონება შეეძლო და მეც საკმაოდ კარგი ჩანახატის შექმნა მოვახერხე, რომელიც შიმპანზეს გავუწოდე.

ზირას კვლავ გაუჩნდა ეჭვები ჩემი გონიერების მიმართ და მის სახეს ისევ ძველებურმა ალმურმა გადაჰკრა. შემდეგ პატარა დრუნჩიც გაუფით-რდა და აკანკალებული მომაშტერდა. მისი მღელვარებით დრო ვიხელთე და მბრძანებლური იერით თითი ბლოკნოტისაკენ გავიშვირე; ამჯერად მან ბლოკნოტი საკუთარი ნებით მომცა. ვფიქრობდი და ვერაფრით ამეხსნა, თუ მანამდე რატომ არ მივმართე გონიერების გამოვლენის ასეთ მარტივ ხერხს?!

გეომეტრიის მთელი სასკოლო პროგრმის გახსენება დამჭირდა საიმისოდ, რათა პითაგორეს თეორემის საილუსტრაციო ფიგურა დამეხაზა. ამგვარი არჩევანი არ იყო შემთხვევითი, ყმაწვილობისას რაღაც სამეცნიერო-ფანტასტიური ნაწარმოები მქონდა წაკითხული, სადაც ერთმა მეცნიერმა გეომეტრიული ფიგურების წყალობით მოახერხა უცხო სამყაროთა გონიერ არსებებთან კონტაქტის დამყარება. ბეთელეჰეიზესაკენ რომ მოვფრინავდით, ეს მეთოდი პროფესორ ანტელს გავუზიარე და მანაც დადებითი შეფასება მისცა მას. მახსოვდა, რომ ანტელმა ასეთი რამაც თქვა - ევკლიდეს გეომეტრია ნებისმიერი სამყაროსათვისააო მისაღები.

ასეა თუ ისე, ჩემმა ნახაზმა ზირა გააოგნა. მან ველურივით შეჰკივლა და სახე მთლად აუღაჟღაჟდა. ამის შემხედვარე ზორამი და ზანამი მისცვივდნენ ზირას, მაგრამ მღედრმა შიმპანზემ შეძლო საკუთარი თავის ხელში აყვანა და დარაჯები განიშორა. ახლა კი ზირა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უცნაურად მოიქცა: ქვეშ-ქვეშად გამოიხედა ჩემსკენ და ჩემი ნახ-ატები და ნახაზები საგულდაგულოდ დამალა უბეში. მან რაღაც უბრძანა გორილებს და ისინი შენობიდან გარეთ გაისტუმრა, შემდეგ მოვიდა ჩემს გალიასთან, ხელი ჩამომართვა და ვიგრძენი, რომ ეს ჟესტი სულ სხვა დამოკიდებულების გამოვლენა იყო იმასთან შედარებით, რაც ადრე ხდებოდა, როცა იგი ხელის ჩამორთმევას აღიქვამდა, როგორც სიმპატიუ-რი ცხოველის საოცარ საზრიანობას. ახლა უკვე თავად იგი მიწვდიდა ვედრების სახით ბლოკნოტსა და კალამს და მოუთმენლად ცდილობდა ჩემთან გონივრული კონტაქტის დამყარებას.

მე გულში პითაგორეს მიმართ მადლობის სიტყვები აღვავლინე და კვლავ ხაზვას შევუდექი. ერთ გვერდზე დიდის გულმოდგინებით გამოვსახე სამი კონუსური ქმნილება შესაბამისი წვეროებითა და მიმართულებით - ელიფსი,პარაბოლა და ჰიპერბოლა; მეორე გვერდზე ნამდვილი კონუსი დავხაზე და შესაბამისი მითითებებით შევეცადე მიმენიშნებინა შიმპანზესათვის, რომ პირველ გვერდზე ნაჩვენები სამი ფიგურა კონუსთან უშუალო კავშირში იყო.

ზირამ ბლოკნოტი ხელიდან გამომტაცა და მეორე კონუსი დახაზა იმის ნიშნად, რომ ჩვენ იმწამს ერთგვარად ვაზროვნებდით. ამან ჩემშიაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, თვალთაგან ცრემლიც კი გადმომცვივდა და მეტისმეტი მღელვარებისაგან სხვა ვეღარაფერი მოვიფიქრე და შიმპანზეს თათს მოყვარული მამრივით მოვეალერსე. სადღაც გალიის სიღრმიდან კი უცებ ნოვას მრისხანე კბილისღრჭენა მომესმა, იგი, ალბათ, ინტუიციით გრძნობდა, რაც ხდებოდა მის თვალწინ. აი, ასე და ამგვარად, გეომეტრიის წყალობით ჩემსა და ზირას შორის სულიერი სიახლოვე დამყარდა, უფრო მეტიც - მე რაღაც ფიზიკური სიამეც კი მომგვარა ამ სიახლოვემ და ვგრძნობ-დი, რომ მდედრი შიმპანზეც მსგავს განცდებს შუა იყო გახლართული.

უცებ მან გამომტაცა ხელიდან თავის პატარა თათი და სულმოუთქმელად გავარდა ჩვენი სექციიდან. არცთუ დიდი ხნით მიმატოვა ზირამ, მაგრამ მე ეს დრო მთელ საუკუნედ მეჩვენა, თავდახრილი ვიჯექი გალიის კუთხეში, თვალს ვერ ვუსწორებდი გაშმაგებულ ნოვას, რომლის წინაშეც რატომღაც თავს დამნაშავედ ვგრძნობდი და ეს ყველაფერი სიზმარი მეგონა.

ზირა რომ დაბრუნდა, დიდი სახატავი დაფა და მასზედ დამაგრებული სუფთა ფურცელი მომიტანა. მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ ყველაფრის თქმა და გამჟღავნება დავაპირე.

ქაღალდის ერთ კუთხეში ბეთელჰეიზეს სისტემა გამოვსახე ისე, როგორც ჩვენ ის დავინახეთ ვარსკვლავთმფრენიდან: ცენტრში უზარმაზარი ბეთელჰეიზე და მის გარშემო მბრუნავი ოთხი პლანეტა დავხატე. განსაკუთრებული სიცხადით სწორედ სორორა გამოვსახე თავისი პატარა თანამგზავრით და მისი ადგილმდებარეობაც ზუსტად მივუთითე. შემდეგ თითი რამოდენიმეჯერ დავადე სორორას და თან ზირას ვუყურებდი, რომელმაც მანიშნა, რომ ყველაფერი მშვენივრად ესმის.

შემდეგ ქაღალდის მეორე კუთხეში ჩვენი მშვენიერი მზის სისტემა მოვხაზე თავის ძირითადი პლანეტებით რომელთა შორის დედამიწა საგანგებო მინიშნებით აღვჭურვე და მასზე თითის დადებით მეორე ხელი მკერდზე

მივიდე.

ამჟერად ზირა დაეჭვდა. დედამიწაზე მანაც მიმითითა და შემდეგ კითხვის ნიშნად ხელი ცისკენ აიშვირა. მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. შიმპანზე აშკარად გაოგნების ზღვარზე მივიდა და თავს ძალას ატანდა, რომ ეს ფაქტი გაეაზრებინა. იმისათვის, რომ ამ გააზრების პროცესი გამეადვილებინა, მე დედამიწა და სორორა წყვეტილი ხაზით შევაერთე და ამ ხაზზე შესაბამისი მასშტაბით ჩვენი ვარსკვლავთმფრენი დავხატე.

ეს ზირასათვის იგივე იყო, რაც სინათლე გვირაბის ბოლოს!

მომენტალუარდ ყველა ეჭვი გაიფანტა: ახლა მან იცოდა, ვინ ვიყავი და საიდანაც მოვხვდი აქ. ზირა მომიახლოვდა, მაგრამ უცებ დერეფნის ბოლოში ზაიუსი გამოჩნდა. მისმა გამოჩენამ ზირას შიში მოჰგვარა და მას თვალები დაუვიწროვდა; მან უმალ დაკეცა ქაღალდი, ბლოკნოტთან ერთად უბეში ჩაიდო და ვიდრე ორანგუტანი მოგვიახლოვდებოდა, ტუჩებთან თითის მიტანით მანიშნა, აღარაფერი გაამხილოო. მივხვდი, რომ მირჩევდა ზაიუსისათვის არაფერი მეგრძნობინებანა და მეც დავყევი მის ნებას, თუმცაკი კარგად არ მესმოდა, თუ რა საჭირო იყო ეს გასაიდუმლოება. ის კი კარგად მესმოდა, რომ დღეის ამას იქიდან ზირა ჩემი მეკავშირე იყო და ორანგუტანს კვლავ ჭკვიან ცხოველად მოვაჩვენე თავი.

## მეორე თავი

ამ დღის შემდეგ ზირას წყალობითა და დახმარებით დიდ წარმატებებს მივაღწიე მაიმუნთა ენისა და მათი კულტურის შესწავლაში. ახალი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ექსპერიმენტების ჩატარების მომიზეზებით ზირა თითქმის ყოველდღე ახერხებდა ჩემთან განმარტოებას და საათობით მაიმუნთა ენის გაკვეთილების ჩატარებას, თავის მხრივ კი ისიც საოცარი სიმსუბუქით ითვისებდა ჩემგან ფრანგულ ენას. დაახლოებით ორი თვის შემდეგ ჩვენ უკვე თავისუფლად შეგვეძლო საუბარი ნებისმიერ სასურველ თემაზე. ნელინელ ჩემს თვალწინ სორორას მთელი სულიერი სამყარო, მისი უცნაური ცივილიზაციის ყველა ამბავი გადაიშალა, რის აღწერასაც შევეცდები თუნდაც ზოგად ჩარჩოებში.



* * *

როგორც კი შევძელი ზირასთან სამეტყველო კონტაქტის სათანადო დონეზე დამყარება, მაშინვე ვკითხე ის, რაც მთელი ამ ხნის განმავლობაში მაწუხებდა და რაც ჩემთვის უმთავრესი პრობლემა იყო:

- ნუთუ მაიმუნები ამ პლანეტის ერთადერთი გონიერი არსებანი არიან?

- მაშ როგორ?! - გაოცდა ზირა - რა თქმა უნდა, მაიმუნი ერთადერთი გონიერი არსებაა, რომელსაც არა მარტო გონი, არამედ სულიც აქვს. ჩვენი პლანეტის თვით ყველაზე თავგამოდებული მატერიალისტებიც კი აღიარებენ მაიმუნების სულის ღვთიურ განჩინებას.

ყოველი ამგვარი განმარტების შემდეგ გადახარხარება მინდოდა, თუმცაკი დრო იყო მივჩვეოდი საკითხის ასეთ გაშუქებას.

- მაშ, ადამიანები?! ვინ არიან ისინი, ზირა?

